ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

29 მაისი
ხუთშაბათი
2025 წელი
№22(9388)
ფასი 40 თეთრი

ირაკლი კობახიძის გამოსვლა 26 მაისის ღონისძიებაზე

„უწმინდესო და უნეტარესო, ბატონო პრეზიდენტო, ქართველო ოფიცრებო და ჯარისკაცებო, ღრმად პატივცემულო სტუმრებო! 100 წლის წინ გამოცხადებული საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობა დღეს რეალობაა და მინდა მოგილოცოთ ჩვენი წინაპრების სანუკვარი ოცნების ასრულება, ჩვენი ქვეყნის გათავისუფლება და მსოფლიო თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრობა.

100 წლის წინ, ჩვენმა წინაპრებმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს თავისუფლებისაკენ; ეროვნული დამოუკიდებლობის გარდა, საქართველომ მოიპოვა დემოკრატიული რესპუბლიკის სტატუსი, რაც დღეს, ერთი საუკუნის გასვლის მერეც კი, სიამაყის განცდას ბადებს თითოეულ ქართველში.

დღეს, საქართველო, დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფოა, რომლის საფუძველს წარმოადგენს დემოკრატიული, ევროპული ყაიდის კონსტიტუცია. დღევანდელი საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტები, საზოგადოება და მისი შეიარაღებული ძალები ეფუძნება დემოკრატიის, სამართლის უზენაესობის, ადამიანის უფლებების პატივისცემის, ადამიანის ღირსების ხელშეუვალობის პრინციპებსა და ღირებულებებს. ამაზე ოცნებობდნენ საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამაარსებლები.

დამოუკიდებლობა და თავისუფლება ჩვენი თაობის დიდი მონაპოვარი და პრივილეგიაა, მაგრამ, იმავდროულად, საქართველოს ისტორია გვაკისრებს უდიდეს პასუხისმგებლობას ჩვენი მომავლის წინაშე; ჩვენ უნდა დავიცვათ, შევინარჩუნოთ და განვავითაროთ არა მხოლოდ ეროვნული სუვერენიტეტი და დემოკრატიული წყობა, არამედ აღვადგინოთ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა, შემოვირიგოთ და დავიბრუნოთ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ჩვენი აფხაზი და ოსი ძმები და დები. ეს უდიდესი ამოცანაა, რომლის გადაჭრისთვისაც ხელისუფლებისა და საზოგადოების ძალისხმევის გაერთიანებაა აუცილებელი.

მოგმართავთ ახალგაზრდებს, რომლებიც დღეს ფიცს დებთ ჩვენი დროშის წინაშე; საქართველოს შეიარაღებული ძალები ჩვენი ქვეყნისა და ხალხის სიამაყეა. დღეს თქვენ დაპირდებით სამშობლოს, რომ მას უერთგულებთ და დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის, გიორგი მაზნიაშვილისა და გიორგი კვინიტაძის, ჩვენი თანამედროვე გმირების - ჟიული შარტავასა და გიორგი ანწუხელიძის საქმეს გააგრძელებთ.

ჩვენი შეიარაღებული ძალების ამოცანა სამშობლოსათვის ბრძოლა და მშვიდობის დაცვაა. მინდა, გისურვოთ, სამშობლოსადმი თქვენი სამსახური ყოფილიყოს მშვიდობიანი, მაგრამ გამარჯვებებითა და წარმატებებით აღსავსე.

სამშობლო და ხალხი თქვენგან თავდადებას მოითხოვს და განსაკუთრებულად ამაყობს თქვენით. საქართველოს პარლამენტი, მთავრობა და ხალხი ყოველთვის თქვენს გვერდით იქნება და იმედის თვალით შემოგხედავთ, სადაც არ უნდა იყოთ, ჩვენს ქვეყანაში, თუ საერთაშორისო მისიებში.

კიდევ ერთხელ გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საუკუნოვან იუბილეს და ჩვენი ქვეყნის შემდგომ აყვავებასა და აღმავლობას გისურვებთ!

20 მაისს მსოფლიო ფუტკრის დაცვის დღედ აღინიშნა

მსოფლიო ფუტკრის დაცვის დღე, ამჯერად ბორჯომში, კოსტავას სახელობის პარკში აღინიშნა. ეხვედრის ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანება, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია და სამცხე-ჯავახეთის მეფუტკრეთა კავშირი, რომელსაც მხარს უჭერდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ეხვედრაში მონაწილეობდნენ რაჭა-ლეჩხუმის, სამეგრელოს, გურიის, იმერეთის, შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მეფუტკრეები.

მეფუტკრეთა შეხვედრას ესწრებოდა სამცხე-ჯავახეთის მხარის გუბერნატორი **ზაალ გელაშვილი**, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი**, მისი მოადგილე **გიორგი ტაბატაძე** და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

მეფუტკრეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა სამცხე-ჯავახეთის მხარის გუბერნატორმა **ზაალ გელაშვილმა.**

თემაზე – საქართველო უძველესი თაფლის მწარმოებელი ქვეყანა – ვრცლად ისაუბრა ბორჯომელმა მეფუტკრემ **ქეთევან სალაღაიამ.** საქართველოს კვლევითი ცენტრის საქმიანობის შესახებ – მეფუტკრეებს ინფორმაცია მიაწოდა **ნანა მაისურაძემ**; ტრადიციებზე და ბრენდირებაზე ისაუბრა **ირინა კაპანაძემ**; თანამედროვე გამოწვევებზე და კლიმატური ცვლილებების გავლენა მეფუტკრეობაზე ყურადღება გაამახვილა **ემზარ ქურდაძემ** და სხვებმა. დისკუსია კითხვა-პასუხის რეჟიმში გაიმართა.

მეფუტკრეებს გადასცეს სპეციალური ლიტერატურა, გზამკვლევები და დაურიგეს ფალოვახი მცენარეების ჩითილები.

მეფუტკრეებთან შეხვედრა მეტად სასარგებლო ღონისძიებით შეფასდა.

ბორჯომში საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღინიშნა

მაყურებლის წინაშე ადგილობრივი ვოკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლები წარსდგნენ.

26 მაისი მოსახლეობას **დეკანოზმა იოანემ (ხეცურიანი)**, საკრებულოს თავმჯდომარემ **დავით ზაალიშვილმა** და მერის მოადგილემ **გიორგი ტაბატაძემ** მიულოცეს.

ღონისძიებას საკრებულოს დეპუტატები, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.



საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, ბორჯომის მუნიციპალიტეტისგან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლის მონაწილე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 26 ვეტერანს, ფულადი დახმარების სახით, ერთჯერადად, 100 ლარის ნაცვლად, 200 ლარი ჩაერიცხა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში მოქმედი სოციალური პროგრამის ფარგლებში, ბენეფიციარები, ფულად დახმარებას ახალ წელს და აღდგომის დღესასწაულზეც იღებენ.

საკრებულოს სხდომა

23 მაისს გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი** უძღვებოდა.

დეპუტატებმა მოისმინეს საფინანსო განყოფილების უფროსის, **მარინა პაიჭაძის** ანგარიში ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის 3 თვის შესრულების შესახებ;

თანხმობა მისცეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიას, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვასთან დაკავშირებით.

ცვლილებები შეიტანეს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფლებსა და დაბებზე თანხის გადანაწილების შესახებ", ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28 მარტის განკარგულებაში;

დაამტკიცეს ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს დებულება;

ცვლილებები შეიტანეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის №53 დადგენილებაში;

ცვლილებები შეიტანეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 აპრილის №33 დადგენილებაში;

ცვლილებები შეიტანეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ნოემბრის №39 დადგენილებაში;

ცვლილებები შეიტანეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის №57 დადგენილებაში;

დაამტკიცეს ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შემადგენლობა;

მოისმინეს მეორადი სტრუქტურული ერთეულის - კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდობასთან ურთიერთობისა და ტურიზმის განყოფილების ხელმძღვანელის ანგარიში 2024 წელს გაწეული მუშაობისა და 2025 წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;

მოისმინეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობაზე ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის **ზ. ჯორჯაიას** ანგარიში 2024 წელს განხორციელებული და 2025 წელს მიმდინარე პროექტების შესახებ;

ასევე მოისმინეს ა(ა)იპ „ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის" დირექტორის **გ. დვალიშვილის**, ა(ა)იპ „ბორჯომის სასპორტო სკოლის" დირექტორის **ე. სტეფნაძის**, ა(ა)იპ ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის დირექტორის **მ. ქიჩიაშვილის** ანგარიშები 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

სამშობლოს დაცვა ღირსეულ მამულიშვილებს შეუძლიათ!

26 მაისი განსაკუთრებული და საამაყო დღეა თითოეული ჩვენთაგანისათვის, ეს დღე დიდი ეროვნული დღესასწაულია, თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის სიმბოლოა. მხოლოდ მტკიცე და გაუტეხელ ერს შესწევს უნარი და ძალა საუკუნეებში გამოატაროს თავისუფლების იდეა, შეინარჩუნოს ეროვნული იდენტობა, ღირებულებები და გახდეს თანამედროვე მსოფლიოს ცივილიზაციის მონაპოვართა თანაზიარი.

ეს დღე ეკუთვნის ჩვენს საამაყო სამხედროებს, რომლებიც ფხიზლად დგანან სამშობლოს თავდაცვის სადარაჯოზე.

26 მაისს ახალგაზრდა რეკრუტებმა ფიცი დადეს, რომ იქნებიან საქართველოს ერთგული ჯარისკაცები.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაულის წინა დღეებში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს დირექტორმა, პოლკოვნიკმა **ირაკლი ჭითანავამ** მადლობის წერილები გადასცა წვევამდელების ოჯახებს, რომელთა შვილებმაც ეროვნული სამხედრო სამსახურში ნებაყოფლობითი სამსახურის გადაწყვეტილება მიიღეს.

საქართველოს თავდაცვის ძალებში სამსახური, არა მხოლოდ ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცებას ემსახურება, არამედ აძლიერებს ახალგაზრდების პასუხისმგებლობას და უყალიბებს მათ დამოუკიდებლობასა და პროფესიონალიზმს.

სამადლობელი წერილები მიიღეს: ახალდაბელ **ნიკოლოზ გიორგის ძე ბლიაძის**, სოფელ დაბაში მცხოვრებ **გიორგი დავითის ძე ხაჩიძის**, სოფელ ჭობისხევში მცხოვრებ **ანზორ შალვას ძე კაპანაძის**, ბორჯომში, ინგოროყვას ქუჩის №7-ში მცხოვრებ **ემზარ ნუგზარის ძე სამსონიძის**, სოფელ ბალანთაში მცხოვრებ **ზურაბ ზვიადის ძე მელიქიძის**, ბორჯომში, მესხეთის ქუჩის №16-ში მცხოვრებ **ნიკა ილიას ძე გოგოლაძის** მშობლებმა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მადლობას უხდის წვევამდელთა ოჯახებს შვილების პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისათვის.

ფულს ვინც იცდის, მუსიკასაც ის უკვეთავს

დიდი ფული ჯოჯოხეთს ანათებს

მსოფლიო კაცობრიობა და მათ შორის საქართველო, დაღუპვის პირას დგას. მსოფლიო მასონურმა ფარდისმიღმელებმა გამოძერწეს საერთაშორისო მასონური ქსელის განსაკუთრებული სახის ხელმძღვანელები, რომლებიც წარმოადგენენ საიდუმლო ორგანიზაციების ნევრებს და მოქმედებენ მთელი კაცობრიობის წინააღმდეგ. ეს ის არაადამიანები არიან, რომლებსაც ერთდროულად უმაღლესი სახელმწიფოებრივი თანამდებობები უკავიათ დასავლეთ ევროპის უმსხვილეს ადმინისტრაციებში, უწინარეს ყოვლისა, აშშ-ში. **„ეს მმართველები — წერს ო.პლატონოვი, — წარმოადგენენ ნამდვილ შეთქმულთა ჯგუფებსა და მთელი კაცობრიობის მტრებს, რომლებიც ასრულებენ რა, ოფიციალურად, სახელმწიფო ფუნქციებს, გამოუსწორებელ ზიანს აყენებენ კანონიერების საერთაშორისო პრინციპებსა და სახელმწიფოებრივ წესრიგს. მათი საქმიანობა განხილული უნდა იქნეს იმავე ნორმების მიხედვით, როგორიც ჰიტლერისა და მისი თანამებრძოლების დანაშაული (რომლებიც, როგორც ცნობილია, მათი ქმედებანი გასამართლებული იქნა, როგორც შეთქმულება კაცობრიობის წინააღმდეგ).**

სხვადასხვა ავტორთა წიგნებში მოყვანილია იმ პირთა სია, რომლებიც ბოლო 15 წელიწადია მიეკუთვნებიან მსოფლიო ფარდისმიღმელთა ხელმძღვანელებს. ქვემოთ, მკითხველი გაეცნობა იმ მაღალი თანამდებობების მქონე მასონ-კონსპირატორებს, რომლებმაც მრავალ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც მომხდარ კატასტროფულ მოვლენებში, წამყვანი როლი ითამაშეს. საქართველო ტრაგედიათა რკალში მოექცა იმ დღიდან, როცა ექსპრეზიდენტი ე. შევარდნაძე, უკვე როგორც მასონი და მალტის ორდენის კავალერი, გამოაგზავნეს საქართველოში პირველ პირად და აქ, მან ლოჟა „მაგისტერიუმის" ადგილზე, ჩაანაცვლა ე.ნ. „მოქალაქეთა კავშირი". ტრაგედია საქართველოში, არაადამიანური აგრესიულობით დღესაც გრძელდება და ხალხს მომავლისთვის კარგს არაფერს უქადის. საქართველოში, მაგისტერიუმი" და „მოქალაქეთა კავშირი", „როზენკრეიცერთა" ლოჟამ შეცვალა, რომლის იდეების გამტარებელი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, მომდინარე წელს „მალტის ორდენმა" ამ ლოჟის მიერ დაარსებული მალტის ორდენით დააჯილდოვა.

ამ მასონურ ფიცარნაგზე ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა იყო მსოფლიო თაღლითი - ჯორჯ სოროსი. კლუბის საიდუმლო ბიულეტენის პირველ ნომერში გამოქვეყნდა მისი წერილი: **„დიდი ფული ქმნის ისტორიას"**. ამ ფინანსური გაგრძელებელი ცინიკური აფორიზმი გვიჩვენებს როგორც მის ცხოვრებისეულ მრწამსს, ისე მსოფლიო ფარდისმიღმელთა მოქმედების მთავარ მეთოდს. კლუბ „მაგისტერიუმის" როლის მნიშვნელობაზე მიგვანიშნებს, მასში აშშ პრეზიდენტ **ბ.კლინტონის** ეკონომიკის საკითხებში მრჩევლის **რ.რეიხას** მონაწილეობაც. რეიხა წარმოადგენდა სამმხრივ კომისიას. კლუბის ნამყვან ფიგურებს წარმოადგენდნენ ყოფილ სსრ კავშირში მასონური მოძრაობის პატრიარქები - **ა. იაკოვლევი, მ. გორბაჩოვი და ე. შევარდნაძე**. „მაგისტერიუმში" შედიოდნენ ისეთი ცნობილი რუსოფობები, როგორიცაა **ე. ევტუშენკო, ე. ნეიზვესტნი, ა. სობჩაკი, ვ. ივანოვი, ი. ბროდსკი, ს. შატალინი** და სხვები (იხ. Молодая гвардия, 1993, №10, 33.81-86).

მასონური მიზნების მისაღწევად „მაგისტერიუმის" მსგავსად იქმნება ერთი საფეხურით დაბალი რიგის ფონდები და კლუბები, რომლებიც, ასევე, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ჩრდილოვან პოლიტიკურ სტრუქტურებში ანტირუსული საქმიანობის კოორდინატორთა საქმეში. ასეთი ორგანიზაციის ყველაზე დამახასიათებელ მაგალითს წარმოადგენს რეფორმ-კლუბი „ურთიერთმოქმედება", რომელიც თავის რიგებში აერთიანებს მეწარმეებს, ბანკების, საბირჟო დაწესებულებების ხელმძღვანელებს, მსხვილ სახელმწიფო ჩინოვნიკებს, რომლებიც შეკრულები არიან ერთი საერთო მიზნის მიღწევის სურვილით, ესაა ის, რომ რუსეთის პოლიტიკა ჩამოაყალიბონ პრინციპით: „დიდი ფული ქმნის ისტორიას". ამ კლუბს სათავეში უდგას ანტირუსული მოძრაობის ერთ-ერთი წამყვანი მოღვაწე ე. გაიდარი, აგრეთვე მთელი რიგი მასავით ოდიოზური პიროვნებები ა.ბ.ჩუბაისი, კ.ნ. ბოროვოი, ლ.ი. აბალკინი, ე.გ. იასინი, ა.პ. პოჩინოკი, ე.ფ. საბუროვი, ო.რ. ლაცისი, კლუბის წევრთა შორის არიან ბ.გ. ფედოროვი, ს.ნ. კრასავჩენკო, ნ.პ. შმელოვი, ს.ს. შატალინი.

კლუბ „ურთიერთქმედებასთან" ახლოსაა საერთაშორისო ეკონომიკური და სოციალური ფონდი, რომელსაც სათავეში უდგას ს. შატალინი.

კლუბ „ურთიერთქმედების" წევრი იყო 1993 წლიდან კახა ბენდუქიძეც, რომელიც კლუბმა მოავლინა საქართველოში ე.წ. რეფორმების, სინამდვილეში კი საქართველოს (ქონების) გასაყიდად. ეს მას ეკუთვნის სიტყვები: **„საქართველოში უნდა გაიყიდოს ყველაფერი, სინდისის გარდა"**. როგორც ჩანს ხელისუფალნი სინდისთან მწყრალად იყვნენ, ანუ, რაც არა ქონდათ, რას გაჰყიდდნენ.

რუსეთშიც შეიქმნა დასავლეთში ფართოდ განვითარებული, ლიტერატურაზე მასონური კონტროლის ფირმა — ე.წ. „პენ-კლუბების" ორგანიზაციები. ასეთად იქცა ეგრეთნოდებული „რუსული პენ-ცენტრი", რომელშიაც შეკრება დაიწყეს ანტირუსულმა ძალებმა. მათ რიცხვში გაერთიანდნენ პირნავარდნილი ლიტერატორ-კოსმოპოლიტები და სინდისგარეცხილი ანტიპატრიოტები.

კიდევ ბევრ კლუბსა და ლოჟაზე შეიძლებოდა აქ ყურადღების გამახვილება, მაგრამ წიგნის მიზანდასახულობიდან და მოცულობიდან გამომდინარე, ესეც საკმარისია.

ახლა კი, იმათ შესახებ, ვინც მასონთა პირველ რიგებში იდგნენ და დღესაც დგანან საზღვარგარეთ, და ხელებს აფათურებენ კაცობრიობის გაბიბრუებაში: - **ალენ დალესი**, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დამაარსებელი და მისი დირექტორი 1953-1961 წლებში; **ჯოზეფ რეტინგერი** — „ევროპული მოძრაობის" მდივანი, ბილდელბერგის კლუბის გენერალური მდივანი; **თომას ბრეიდერი**, ცეერუს საგარეო პოლიტიკური სექტორის ხელმძღვანელი; **უილიამ დონოვანი**, სტრატეგიული სამსახურის სამმართველოს ყოფილი უფროსი; **რიჩარდ ნიქსონი**, აშშ პრეზიდენტი; **ჯერალდ ფორდი**, აშშ პრეზიდენტი; **როლანდ რეიგანი**, აშშ პრეზიდენტი; **ჯორჯ ბუში** (უფროსი), აშშ პრეზიდენტი, 1975-1977 წლებში ცეერუს დირექტორი; **ჰენრი კისინჯერი**, აშშ ყოფილი სახელმწიფო მდივანი, ყველაზე გავლენიანი მასონური ლოჟა „ბნაი-ბრიტის" ხელმძღვანელი; **ალექსანდრე ხეიგი**, ნატოს გენერალური მდივანი; **ჯორჯ ბუში** (უმცროსი), აშშ პრეზიდენტი.

ეს სია შეიძლებოდა უზომოდ გაგვეგრძელებინა პენტაგონისა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ნევრთა ხარჯზე.

მკითხველო, უნდა შეთანხმდეთ, უაღრესად ჭეშმარიტ აქსიომაზე, რომ ყველა სახის მოვლენა (პრეზენტაცია-არჩევნები, ტერორისტული აქტები, მდგომარეობათა დაძაბვა, დესტაბილიზირება და მისთანები) ხდება მასონური ლოჟებისა და მასონური კლუბების უშუალო (აქტიური) მონაწილეობით.

მხოლოდ ერთი ასეთი მაგალითი: ჯორჯ ბუშის კისერზეა საქართველოში, მიხეილ სააკაშვილისა და უკრაინაში ვიქტორ იუშენკოს გაპრეზიდენტება. ბუში კი, როგორც წესი, მოქმედებდა „300-თა კომიტეტის" უშუალო დავალებითა და მითითებებით.

მრავალრიცხოვანი „მეთოდები" გააჩნია მასონთა მსოფლიო მთავრობას, რომლებსაც ნესად აქვთ „დაავერბოვკონ" ადამიანები, ფიცი დაადებინონ და თუკი ვინიცობაა გადაუხვევენ დანაპირებიდან და არ შეასრულებენ დავალებას, მზად არიან ნებისმიერი პირი გაუყენონ შინმოუსვლელთა გზას. გავიხსენოთ, თუნდაც, აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი ჯონ კენედი, იტალიის პრემიერ-მინისტრი ალდო მორრო, პაკისტანის სუვერენული სახელმწიფოს პრეზიდენტი ბენაზირ ბხუტტო, პაკისტანში „საერთაშორისო ურთიერთობათა კომისიის ნევრი ულ ხაკი (ტერორი მოუწყეს ცაში) და ბევრი სხვ.

გამორიცხული არაა, რომ მასონებისავე ხელი ერიოს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას (გავიხსენოთ, „დინების საწინააღმდეგოდ მიცურავსო" (ჯორჯ ბუში, უფროსი) და საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას სიკვდილში.

სიონის ბრძენთა მე-10-ე ოქმში ნათქვამია: **„მთავრობაც და სალხიც პოლიტიკაში კმაყოფილდებიან მოჩვენებითობით, მათთვის ყველაზე მთავარი მხიარულებაა. ჩვენი მეთოდებისა და მაქინაციების გამოყენებით შევქმნით ისეთ ბრმა ძალას, რომელსაც არ შეეძლება არაფრის გაკეთება ჩვენი აგენტების ხელმძღვანელობის გარეშე, ხალხი დაემორჩილება ამ რეჟიმს, რადგან ეცოდინებათ, რომ მის ლიდერებზე იქნება დამოკიდებული მათი ანაზღაურება და ყოველგვარი სიკეთის მიღება.**

ყველა ქვეყანაში მოქმედებს ერთი და იგივე სისტემა, მას ეშმაკურად მხოლოდ სხვადასხვა სახელწოდებები მიენიჭა, წარმომადგენლობა, სამინისტრო, სენატი, სახელმწიფო საბჭო, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანო. სახელმწიფოს ორგანიზმში შეიყვანეს ლიბერალიზმის შხამი, ამით შეცვალეს მთელი მისი პოლიტიკური კომპლექცია, სახელმწიფო დაავადდა ავადმყოფობით — სისხლის დაშლით, ელოდებან ხალხთა აგონიას.

ლიბერალიზმისაგან იშვა კონსტიტუციური სახელმწიფო, რომელმაც შეცვალა გოების (გოი, — არაებრაელი) მხსნელი თვითმპყრობელობა, კონსტიტუცია კი, როგორც ვიცით, განხეთქილების, უთანხმოების, კამათის, უნაყოფო პარტიული აგიტაციის, პარტიული ტენდენციის სკოლაა.

ტრიბუნამ მთავრობა პრესის მსგავსად მოამზადა უმოქმედობისა და უღონობისათვის, იგი აქცია ზედმეტად, უსარგებლოდ, რის გამოც ბევრ ქვეყანაში ასეთი მთავრობები დაეშხო.

„სახელმწიფოები ვაქციეთ არენებად, სადაც იმართება არეულობები. ასეთმა ნაბიჯებმა შესაძლებლობა მოგვცა დაგვემყარებია რესპუბლიკური ენა და მმართველი შეგვეცვალა მთავრობის კარიკატურით — პრეზიდენტით, იგი ამოვიყვანეთ ბრბოდან, ჩვენი კლიენტურის, ჩვენი მონების წრიდან.

ჩვენს მიზანს აწყობს, რათა მუდმივი არეულობა და დეორგანიზაცია იყოს ქვეყანაში. ამის უზრუნველსაყოფად ახლო მომავალში დავიწყებთ პრეზიდენტთა პასუხისმგებლობის დაწესებას, მაშინ არავის მოვუბოდიშებთ ჩვენი გადაწყვეტილების გამო, რა გვენაღვლება, თუ შეთხელდება ხელისუფლებისათვის მებრძოლთა რიგები, თუ დაიწყება დაბნეულობა პრეზიდენტობის არარსებობის გამო.

ჩვენი გეგმა ასეთ შედეგამდე რომ მივიყვანოთ, წამოვატივტივებთ პრეზიდენტობის ისეთ კანდიდატებს, რომელთაც წარსულში ჰქონდათ რაღაც გაუხსნელი ბნელი საქმე, მაშინ ისინი იქნებიან ჩვენი სურვილების ერთგული შემსრულებლები. ჯერ ერთი, — მხილების შიშით, მეორეც — ხელისუფლების სათავეში ყველა ადამიანისათვის დამახასიათებელი თვისების გამო პრეზიდენტის წოდებასთან დაკავშირებული პრივილეგიების, უპირატესობის, პატივის შენარჩუნების სურვილით. დეპუტატთა პალატა დაიცავს, აირჩევს პრეზიდენტს, მაგრამ ჩვენ მას წავართმევთ კანონების შემოთავაზების, შეცვლის უფლებას, რადგან ეს უფლება ჩვენგან გადაეცემა პასუხისმგებელ პრეზიდენტს, რომელიც ჩვენს ხელში მარიონეტი იქნება."

(თემის გაგრძელება იქნება)

მასალა მოიძია

ვალერიან ლომიძემ.

საქართველოს ისტორია მეორდება

წინა საუკუნეებში სამშობლოს გამყიდველები (რა თქმა უნდა ძირითადად თავადაზნაურობის წარმომადგენლები) ,ზოგი მონღოლეთში გარბოდა სამშობლოს საღალატოდ, ზოგი ირანსა და ოსმალეთში. დღეს ოსმალეთი და მონღოლეთი აშშ-მ და ევროკავშირმა ჩაანაცვლა. მის დაუკითხავად ნაბიჯს ვერ გადაადგამს. სამაგიეროდ, საქართველო, როგორც ამერიკისთვის, ისე ევროპისთვის, არის ხელწამოსაკრავი ქვეყანა. საქართველოს მთავრობის მიერ ქვეყნის სასიკეთოდ გადაწყვეტილების მიღება ევროკავშირის მთელი რიგი ქვეყნების გაღიზიანებას იწვევს, თუ მათ დაკრულზე არ ვცეკვავთ, სანქციებით გვემუქრებიან. ჩვენს მთავრობას მადლობა ეკუთვნის იმ წინააღმდეგობის გაწევის გამო, უკრაინა-რუსეთთან ომში, მესამე მონაწილედ რომ არ ჩაერთო, რომლისკენაც მთელი დასავლეთი უბიძგებდა. სწორედ რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებით მინდა ამ წერილით ჩემი აზრი გაგიზიაროთ.

ქართული პრესა და ტელევიზიები გვამცნობენ, რომ 2022 წელს დაჩაგრულ უკრაინას თავს დაესხა რუსეთი, რომელიც ცდილობს მიიტაცოს უკრაინის ტერიტორიები, განსაკუთრებით აღმოსავლეთი უკრაინა, რომ რუსეთი არის დამპყრობელი ქვეყანა და მიდის რუსეთის ლანძღვა-გინება. მე არ მინდა რუსეთის დამცველის როლში გამოვიდე, რუსეთი თავის თავს თვითონ დაიცავს, მე, უბრალოდ, რასაც 2000-იანი წლებიდან მოყოლებული, გაზეთებში ვკითხულობდი და ტელეარხებით ვისმენდი ჩვენი პოლიტიკოსებისა და ჟურნალისტების საუბრებსა და სტატიებს, ამასთან დაკავშირებით, ჩემი მოსაზრება მინდა გამოვთქვა.

უკრაინა-რუსეთის ომი, უპირველესად ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის თაოსნობითაა დაწყებული და ეს ქვეყნები დიფ სთეითის, ანუ ომის პარტიის მიერ იყო ორგანიზებული და უნდოდათ რუსეთის უზარმაზარი ტერიტორიების დაპყრობა, რათა შეძლებოდათ ომის გზით დაენგრიათ რუსეთის მთლიანობა.

უკრაინა, როგორც ვიცი, ისტორიულად გაყოფილია ორ ნაწილად - აღმოსავლეთი და დასავლეთი უკრაინა. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, თითქმის მთელი დასავლეთი უკრაინა, როგორც მათ უწოდებდნენ ,,ბენდერელებს", იბრძოდნენ ფაშისტური გერმანიის მხარეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მათი იდეები და შეხედულებები, არც მათ შთამომავლობას შეუცვლია და ომის შემდგომ, მშვიდობიან პერიოდშიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სასტიკ დანაშაულებს ჩადიოდნენ.

ახალგაზრდობის წლებში, საბჭოთა ჯარში სამსახურმა უკრაინაში მომიწია, დასავლეთ უკრაინის ქალაქ ლვოვში ვიმყოფებოდი და ბენდერების არაერთი დანაშაულის მომსწრე ვარ. თვე არ გავიდოდა, ბენდერებს რომ სამი-ოთხი სამხედრო არ მოეკლათ. ამიტომ, ქალაქში რომ გვიშვებდნენ, ან სადარაჯო პოსტზე ყოფნის დროს, გვაფრთხილებდნენ, ყურადღებით, ფხიზლად ვყოფილიყავდით.

2013-2014 წლების ისტორიაც გემახსოვრებათ, აღმოსავლეთ უკრაინის მთელ მსხვილ ქალაქებში (დონეცკი, უჟგოროდი, ოდესა, კიევი და სხვები) ხდებოდა შეიარაღებული თავდასხმები, ყოველივე ამის შესაკავებლად, როგორც პრესიდან ვგებულობდი, ევროკავშირმა თხოვნით მიმართა რუსეთის მთავრობას, რომ შეეყვანა სამხედრო ნაწილები აღმოსავლეთ უკრაინაში და დაეცვა მშვიდობიანი მოსახლეობა.

სსრ კავშირის 70 წლის მანძილზე, უკრაინა ფართომასშტაბიან თავდასხმებს ვეღარ ბედავდა, მაგრამ ცალკეულ გამოხდომებს სისტემატური ხასიათი ქონდა.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა, მათ შორის აშშ-მ და ევროგაერთიანებამ გადაწყვიტა რუსეთის ვრცელი ტერიტორიების დაპყრობა. პირველ ეტაპზე, ამ მიზნის მისაღწევად, მოიხდომეს უკრაინის ვრცელი და მდიდარი მხარის გამოყენება.

ევროკავშირის, ნატოს და ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსური და სამხედრო ძალის დახმარებით გააბრიყვეს უკრაინა და დაიწყებინეს ომი რუსეთის წინააღმდეგ. სხვათაშორის ამ ომში ევროკავშირს და აშშ-ს მიზნად ქონდათ საქართველოს ჩათრევაც. საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ დიდი თავშეკავება და გონიერება გამოიჩინა და რუსეთის წინაამდეგ ომში არ ჩაერთო, თუ როგორი სიმნარე გამოიარა უკრაინელმა ხალხმა ამ უგუნური ნაბიჯით, ყველა კარგად ვხედავთ. ერთ დროს ეკონომიკურად ძლიერი უკრაინა როგორ გაპარტახდა, ათი მილიონი უკრაინელი ემიგრაციაშია, 100 წელი არ ეყოფა ომით დანგრეული შენობა-ნაგებობების აღდგენას, დაიღუპა ასობით ათასი მშვიდობიანი უკრაინელი და რუსი მოქალაქე.

საქართველოს დღვანდელი ხელისუფლების მიერ პრინციპული დამოკიდებულების გამოხატვამ გადაგვარჩინა ამ სასტიკ ომში ჩართვას, როცაც ძალიან გაგვინაწყენდნენ უკრაინის, ამერიკის, ევროპის ქვეყნების ლიდერები, ეს მაშინ, როცა ამერიკაც და ევროპული ქვეყნებიც ყოველმხრივ ცდილობენ, თავიანთი გავლენით და ათასგვარი სანქციებით დასაჯონ ქართველი ხალხი. ასეთ დამოკიდებულებას თვლიან დემოკრატიის გამარჯვებად. ეს ხომ მცირე ზომის სახელმწიფოების ვასალურ მდგომარეობაში ჩაყენების ტოლფასია, რასაც ქართველი ხალხი არასდროს შეეგუება.

დღეს, ომის შეწყვეტის ინიციატივით გამოდის ამერიკის შერთებული შტატების ახალი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი, რომელიც ტელეფონით კიდეც ესაუბრება რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს. მივესალმები ამ ინიციატივას და მწამს, სიმართლე და ობიექტურობა გაიმარჯვებს, მშვიდობა დაისადგურებს მსოფლიოში და საქართველოს თავშეკავებას და ომის თავიდან აცილებას ევროპის ქვეყნების ლიდერები დადებითად შეაფასებენ.

ნოდარ ნოზაძე,
პენსიონერი.

პროფესორ არჩილ სარუხანიშვილის გახსენება

სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი მეცნიერი

ბორჯომის რაიონში, ახალდაბის გარემოში, დედულეთში გაზრდილ და დავაჟკაცებულ არჩილ სარუხანიშვილს, მსოფლიოში აღიარებულ მკვლევარსა და მეცნიერს, 27 მაისს 90 წელი შეუსრულდებოდა. იგი გარდაიცვალა 2019 წლის 19 იანვარს.

ბატონი არჩილის მამა – ვლადიმერი, დიდი სამამულო ომის აქტიური მონაწილე გახლდათ. ომის წლებში, ირანში, სამთა კონფერენციაზე, სტალინის დაცვაში იმყოფებოდა, ხოლო 1951 წელს, სტალინის ბორჯომში დასვენების პერიოდში, დაცვის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო.

ახალდაბაში დასახლდა საკუთარ აგარაკზე, სადაც აირჩიეს ახალდაბის სადაბო საბჭოს დეპუტატად. მისი ინიციატივით ახალდაბაში გამოყვანილი იქნა წყალსადენი, მდინარე მტკვარზე გადებული ხის ხიდი, რომელიც ყოველწლიურად შესაცვლელი ხდებოდა. თავისი ინიციატივით თბილისიდან ჩამოიტანა რკინის კონსტრუქციები და ხიდი დაამონტაჟა, რომელიც უფრო მტკიცე და საიმედო იყო.

ბატონი არჩილი ბავშვობიდან შეყვარებული იყო ახალდაბაზე. სწავლის პერიოდში, არდადეგებსა და შემდეგ, სამსახურიდან თავისუფალ დღეებსაც, ხშირად აქ ატარებდა. აქ იწერებოდა მისი სამეცნიერო შრომები, რომლებმაც ხელი შეუწყო მის მეცნიერად ჩამოყალიბებასა და შემდგომ კოლეგა-სპეციალისტების მიერ ლიდერად აღიარებას მინანქრის, მინის ხურვალმედეგი მასალების, მყარი ელექტროლიტების მიმართულებით. ყველაზე დიდ მიღწევად მიმაჩნია მისი აკადემიკოსად არჩევა საკავშირო მინანქრის სპეციალისტთა აკადემიაში, რაც მსოფლიო მასშტაბით მის დიდ აღიარებასაც ნიშნავდა.

ბატონი არჩილი გახლდათ ინჟინერ-ქიმიკოსი. ცხადია, დიდ მეცნიერად აღიარების მწვერვალებს ეტაპობრივად მიაღწია უმცროსი მეცნიერ მუშაკიდან ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორამდე და პროფესორობამდე. 1972-82 წლებში იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტის დეკანი; შემდეგ ფიზიკური და კოლოიდური ქიმიის კათედრის გამგე; კერამიკოსთა სხვადასხვა პერიოდში საქართველოს კერამიკოსთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი; სამეცნიერო ტექნიკური ჟურნალის ,,კერამიკას"-ს მთავარი რედაქტორის მოადგილე; ,,ევროსაინსის" საქართველოს განყოფილების წევრი და როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, საკავშირო მასშტაბით, მინანქრის სპეციალიტთა აკადემიის აკადემიკოსი; ასევე ყოფილი საკავშირო მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტის სამეცნიერო საბჭოს ორი სექციის (მინანქრისა და ხურვალმედეგი მასალების) წევრი.



ბატონი არჩილი პროფესორ-პედაგოგის წოდებიდან გამომდინარე გამორჩეული იყო სალექციო და პრაქტიკული საკითხების ღრმა ცოდნით, სტუდენტებზე თემის გადაცემის, გასაგები და ადვილად აღსაქმელი უნარით. მუდმივად ზრუნავდა პროფესიაზე შეყვარებული სტუდენტების განათლებაზე, საინჟინრო დონის ამაღლების თვალსაზრისითაც. წარმოებებში, მათი მუშაობის პერიოდებშიც, ურთიერთობას არ კარგავდა მათთან, ხოლო სტუდენტობის პერიოდიდანვე გამორჩეული კურსდამთავრებულების ერთი ნაწილი ჩართული ჰყავდა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში. მისი ხელმძღვანელობით 26-მა ახალგაზრდამ დაიცვა დისერტაცია, მათ შორის 18-მა საკანდიდატო, ხოლო 8 პირმა - სადოქტორო. ბატონ არჩილთან ერთად ყველა მათგანს სხვადასხვა გამოგონებაში აქვთ მონაწილეობა მიღებული. ბატონ არჩილს 51 საავტორო მოწმობა ქონდა, რომლებიც მსოფლიო მასშტაბით პატენტებს წარმოადგენენ. ამრიგად, სამეცნიერო ხარისხის მაძიებელი ახალგაზრდები, მისი ხელმძღვანელობით დისერტაციებს იცავდნენ მეცნიერულ აღმოჩენებზე; ვინაიდან, მათი თემატიკით, დისერტაციის დასაცავად, საქართველოში სპეციალიზირებული სამეცნიერო საბჭო არ იყო, დისერტანტების შრომების დაცვა წარმოებდა ხარკოვში, რიგაში, სანკტ-პეტერბურგში, მოსკოვში და სხვაგან. მათი დანერგვისადმი ინტერესიც უწნდებოდათ და იყენებდნენ კიდევაც ავტორების თანხმობით, რაც ცხადია, წარმოებაში გამოშვებული პროდუქციის ხარისხთან ერთად, ეკონომიკურ ეფექტურობასაც ამაღლებდა.

მისი და მისი მოწაფეების პატენტებით დამზადებული ნაკეთობები და პროდუქცია გამოიყენება საწარმოო და საყოფაცხოვრებო დანიშნულებით, ასევე სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში, მათ შორის, გემთმშენებლობასა და კოსმოსურ აპარატებში.

ბატონ არჩილს დაწერილი და გამოცემული აქვს 6 მონოგრაფია, ასევე პროდუქტიული იყო მისი პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობაც. თავის კოლეგებთან და მოწაფეებთან თანაავტორობით გამოქვეყნებული აქვს 36 სასწავლო-მეთოდური, 18 ზოგადსაგანმანათლებლო საჟურნალო სტატიები და მოგონებები კოლეგა-მეცნიერებზე. სამეცნიერო გამოცემებში 190 სტატიაა დაფიქსირებული, ხშირად იწვევდნენ კოლეგები თავიანთი მოწაფეების მიერ მომზადებული სადისერტაციო ნაშრომების ოპონირებაზე.

ქიმიურ ტექნოლოგიის დარგში მოღვაწე სპეციალისტებს შორის, ბატონი არჩილი გამოირჩეოდა როგორც მეცნიერული, ასევე ინჟინრული შემართებითაც. ბატონ არჩილ სარუხანიშვილის ბიოგრაფიულ ნუსხაში მსოფლიოს 45 ქალაქია დასახელებული, სადაც, ჩატარებულ სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე, დარგის ცნობილი მეცნიერებისა და სპეციალისტების წინაშე, თავისი ჯგუფის კვლევით მასალებზე მოხსენებებით წარმდგარა და მათგან მაღალი შეფასებებიც დაუმსახურებია. თვითონაც, შეხვედრებზე ღრმა მეცნიერული ერუდიციითა და აქტიურობით გამოირჩეოდა.

მისი მოწაფეები, ამჟამად ცნობილი და გამორჩეული მეცნიერები, ნარმატებით აგრძელებენ საინჟინრო, პედაგოგიურ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას,.. ყოველთვის თბილად იხსენებენ მის ღვაწლს. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტის სასწავლო კორპუსში, ერთ-ერთ სასწავლო ლაბორატორიას მინიჭებული აქვს მისი სახელი.

ბატონი არჩილი ქიმიური ფაკულტეტის სტუდენტებს საწარმოო პრაქტიკას ყოველთვის უტარებდა ბორჯომის მინის ტარის ქარხანაში, ვინაიდან მას მიაჩნდა, რომ ბორჯომის მინის ქარხანა ყველაზე ასაკოვანი იყო ანალოგიურ ქარხნებს შორის საქართველოში, ისტორიულადაც ითვლებოდა და ტექნოლოგიური სრულყოფითაც გამოირჩეოდა.

ახალდაბელები, მისი ნათესავები, ახლობლები და მეგობრები მის კაცთმოყვარეობასა და კეთილშობილებას დღესაც პატივისცემით იხსენებენ.

ვალერიან ლომიძე

ნდობა და სიყვარული უპირველესია

9 წლის **გიორგი იორამაშვილი** ბორჯომის N1 საჯარო სკოლის მესამე კლასის წარჩინებული მოსწავლეა. სკოლის გარდა ის მუსიკალურ სკოლაში სიმღერას ეუფლება. მისი ვოკალის პედაგოგი, ქალბატონი ცირა პავლიაშვილი გახლავთ. ასევე, ანსამბლ ,,მერმისის" წევრია, თამაშობს ფეხბურთს, პედაგოგ **სერგი კობესაშვილთან,** კვირაში ორჯერ კი ინგლისურზე დადის. თუმცა ის, რაც გიორგის სხვა მისი თანატოლებისაგან გამოარჩევს, მადლიერებისა და სიკეთის გაკეთების უდიდესი გრძნობაა. სულ რამდენიმე თვის წინ, სოციალურ ქსელში გიორგის დედის, ქალბატონ თინათინ მელქაძის პირად ფეისბუქის გვერდზე სტატუსი შემხვდა, სადაც წერდა, რომ აღდგომის დღეებში რამდენიმე ბავშვს საჩუქრებით გაახარებდნენ, ანუ მათ, ვისაც ეს რეალურად სჭირდებოდა. ქალბატონ თინას პირადად რამდენიმე ადამიანი გამოეხმაურა. სულ რამდენიმე დღეში კი გიორგიმ, საკუთარი ხელით გაამზადა სასაჩუქრე ყუთები თანატოლებისთვის და დედასთან და დეიდასთან ერთად პირადად მიუტანა. ამ უკეთილშობილეს ბიჭს ჩვენი გაზეთის მკითხველებიც რომ იცნობდნენ, მსურს. გიორგის შესახებ სასაუბროდ მის დედიკოს, თინათინ მელქაძეს ვთხოვე ესაუბრა.

-მშობლისთვის რთულია საკუთარ შვილზე საუბარი, თუმცა მაინც გკითხავთ, დაგვიხასიათეთ გიორგი, როგორი ბიჭია?

-გიორგი წარჩინებული მოსწავლეა. ყველა საგანს ერთნაირად კარგად სწავლობს. როგორც თვითონ ამბობს, განსაკუთრებულად უყვარს ბუნება, მღერის, ცეკვავს, თამაშობს ფეხბურთს, სწავლობს ინგლისურს. თუმცა ის, რაც ყველაზე დიდ ბედნიერებას ანიჭებს, არის სიკეთის კეთება. მაღაზიაში რომ მიდის, ხურდა ფულს ყოველთვის იტოვებს, რომ იქიდან გამოსული, სხვებს დაეხმაროს. რამდენჯერ ყოფილა შემთხვევა, როდესაც თბილისიდან მოვდიოდით, სპეციალურად დამახურდავებინებდა ფულს, რათა დახმარებოდა მათ, ვინც მოწყალებას ითხოვდა. ძალიან გულჩვილი და ემოციურია, სხვისი ტკივილი ყოველთვის გულთან მიაქვს.

-იმ საქმიანობის გარდა, რაც უკვე ჩამოთვალეთ, კიდევ რითია დაკავებული?

-მეორე წელია ,,კინგსის'' ოლიმპიადაში მონაწილეობს, უმაღლესი ქულები აიღო პირველ ტურში - ქართულში, მათემატიკასა და ინგლისურში. ხოლო სკოლაში გამართულ მათემატიკის ოლიმპიადაში, თავის თანატოლებში, პირველ ადგილზე გავიდა. ზამთრის სეზონზე კი ბაკურიანში სრიალებს თხილამურებით.

-გიორგი დედისერთაა. დედისერთა ბავშვები ხშირად განებივრებულები არიან. გიორგის შემთხვევაში როგორაა?

-დედისერთაა და საკმაოდ ემოციურია. განიცდის კიდეც ამას. თუმცა, დედმამიშვილების დანაკლისს ჩემი ძმისშვილებით ივსებს, ვერ ათქმევინებთ, რომ ბიძაშვილები არიან. მიუხედავად იმისა, რომ დედისერთაა, საოცრად კომუნიკაბელური, სამართლიანი და უზომოდ თბილია. ძალიან განიცდის, როდესაც გაცემულ სითბოს და ყურადღებას სანაცვლოდ ვერ იღებს. რაც მთავარია, ადამიანების უზომო სიყვარული შეუძლია.

-რაც შეეხება გიორგის ქველმოქმედებას, საალდგომოდ რამდენი ბავშვი გაახარა? და საინტერესოა, ადრესატებიც თვითონვე შეარჩია?

-პოსტი ავტვირთე, რომ გავახარებდით ორ ბავშვს, მაგრამ გიორგის თხოვნით გადავწყვიტეთ 4 ბავშვისთვის მიგვეტანა საჩუქარი. თუმცა, პირად შეტყობინებაში 6 ოჯახზე მოგვწერეს, ვისაც რეალურად სჭირდებოდა დახმარება, ამიტომაც, საბოლოოდ, 6 ბავშვი გავახარეთ. ამით, ჩვენც ძალიან ბედნიერები ვიყავით და გიორგი ხომ თავისთავად. თვითონვე მიუტანა სასაჩუქრე ყუთები ყველას და მართლაც უბედნიერესი იყო.

-ვფიქრობ, რომ საუკეთესო მაგალითი პირადად თქვენ, მისი მშობლები ბრძანდებით, რადგანაც ბავშვის ქმედებას, სწორედ მშობლების საქციელი განაპირობებს.

-ალბათ ასეა, პირად მაგალითს დიდი ძალა აქვს. თუმცა, მაინც მიმაჩნია, რომ თუ სიკეთე გულიდან არ მოდის, ვერ გააკეთებ. მთავარი მაინც გულია.

-XXI საუკუნის ბავშვებს თითქოს ოცნებები არ აქვთ, ისე გამოდის, რადგანაც მშობლები ყველაფერს ვუსრულებთ და მათთვის მიუწვდომელი და საოცნებოც ალბათ აღარაფერი რჩება. საინტერესოა, რაზე ოცნებობს გიორგი?

-პირადად გიორგის ოცნებები მიუღწეველი ნამდვილად არაა, რადგანაც უნდა იყოს ნარმატებული ფეხბურთში, ცეკვაში, სიმღერაში. ანუ იმ სფეროებში, რასაც აკეთებს. ეს უფრო მიზნებია, ვიდრე ოცნებები, რომლებიც მიღწევადია დიდი შრომით. ამ ყველაფრით კი უნდა, რომ ჩვენ მოგვანიჭოს ბედნიერება; ოცნებობს, რომ ჩვენ ვიყოთ ბედნიერები.

-საუბრის ბოლოს კი, რა რჩევას მისცემდით მშობლებს, როგორი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეთ შვილებთან , რომ არ დაიკარგოს ზღვარი სიმკაცრესა და ზომიერ დათმობას შორის?

-ალბათ პირველ რიგში, უნდა იმეგობრონ საკუთარ შვილებთან. ხშირად მოეფერონ და აგრძნობინონ, რომ უყვართ ისეთები, როგორებიც არიან, რაც არ შეუძლიათ, არ შეპირდნენ. ეს ყოველივე ბავშვებში უნდობლობას იწვევს და აღარ ენდობიან. ნდობა და სიყვარული უპირველესია. უნდა მოუსმინონ და გაითვალისწინონ შვილის აზრი, შეხედულებები. ასეთ შემთხვევაში დათმობაც შეეძლებათ, როგორც შვილებს, ასევე მშობლებს, და სიმკაცრეც, ისეთი დოზით საჭირო და აუცილებელი აღარ იქნება.

ესაუბრა ნატო მელიქიძე

ცხოვრების ახალი ეტაპი დაიწყო



,,სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების''-ო,- გურამიშვილს მრავალი წლის წინ უთქვამს. თუმცა, არის კი სიტკბოება, სკოლის კედლებში გატარებული უკანასკნელი დღე და... ბოლო ზარი? დიახ, ნამდვილად არის! რადგანაც სკოლაში, 12 წლის მანძილზე განცდილი სიხარულიც თუ გულისტკენაც, ბოლოს მაინც წარსულის ,,ტკბილ'' მოგონებად რჩება. იმის გაცნობიერება, რომ თითოეული კურსდამთავრებულისათვის ცხოვრების სრულიად ახალი ფურცელი იშლება მასზე დასაწერი ახალი გვერდებით, სიხარულის განცდას კიდევ მეტად ამძაფრებს. ბოლო ზარი, სკოლაში გატარებული უკანსკნელი დღე, ცხოვრების საუკეთესო პერიოდთან, ბავშვობასთან გაშორებს და სრულიად ახალ ცხოვრებასთან უფრო მეტად გაახლოებს. სხვადასხვა საგანში მომზადება, უძილო ღამეები, დასახული მიზნისაკენ სწრაფვა და მომავალ სტუდენტობაზე ფიქრი მათი ყოველდღიურობაა. სკოლაში სიარულიც თითქოს ნაკლებად სავალდებულოა, თუმცა, მაისის ბოლოს მაინც, ყველა მეთორმეტეკლასელი ოცნებობს ბოლო ზარის განსაკუთრებულად აღნიშვნაზე.

20 მაისს ბოლო ზარი დაირეკა საქართველოს თითქმის ყველა სკოლაში, მათ შორის, ბორჯომის საჯარო სკოლებშიც. დილიდან საზეიმო განწყობა იყო შექმნილი ქალაქის ქუჩებში. ყველგან საზეიმოდ მორთული ფერადი ბუშტებითა თუ ფერადი კვამლით მოსიარულე მეთორმეტეკლასელებისთვის განკუთვნილი მანქანები გადაადგილდებოდნენ. თითოეული სკოლის წინ, მოსწავლეებზე არანაკლებ ბედნიერი სახეებითა და განწყობით აღსავსე მათი მშობლები, მეგობრები, ნაცნობები თუ გულშემატკივრები იდგნენ. ზოგს ბედნიერების ცრემლიც კი მოსდგომოდა თვალზე. განსაკუთრებული ემოცია ახლდა თან ბოლო ზარის გამოსაშვებ საღამოზე,- მოსწავლეთა მიერ დადგმულ საცეკვაო, სასიმღერო თუ იუმორისტულ ნომრებს, რომლებიც ასევე სკოლასა და განვლილ 12 წელს უკავშირდებოდა. მჯერა და დარწმუნებული ვარ, რომ თითოეული მეთორმეტეკლასელის შემხედვარეს, საკუთარი ბოლო ზარი ახსენდებოდა, ხოლო მათ, ვისაც ჯერ სკოლა არ დაუმთავრებიათ, მათ გონებაშიც ფიქრები მომავალ ბოლო ზარზე ტრიალებდა.

ამ დღეს ყველა ბედნიერი, ღაღი და სიცოცხლით აღსავსეა. ერთ დროს პატარა გოგო-ბიჭები ხომ ახლა დიდ ადამიანებად ქცეულან, ყველაზე ღაღები, მხიარულები და იმედით აღსავსენი არიან. დიახ, ცხოვრება ხომ ძალიან სწრაფად გადის. მათთვისაც ცხოვრების სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო. ყოველ დასასრულსაც ხომ ახალი დასაწყისი აქვს! სწორედ ეს დასაწყისი ყოფილიყოს თითოეული კურსდამთავრებულისთვის ბედნიერებისა და წარმატების მომტანი. სკოლის დამთავრებას გილოცავთ!

ნატო მელიქიძე

1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა!

თქვენ გელოდებათ:
ვორქშოპები:
- ორიგამი;
- კერამიკის დამზადება და მოხატვა;
- თოჯინებისა და სამკაულების ხელით შექმნა

გასართობი ზონები:
- „მინი გოლფი";
- „შეაგდე ბურთი";
- „გიგანტური ბოულინგი";
- „დარცი"

საღღესასწაულო ატმოსფერო:
- ფერადი ბუშტებითა და დეკორით მორთული სივრცე;
- ანიმატორები

ა(ა)იპ "ბორჯომის სასპორტო სკოლის" ორგანიზებით გაიმართება:
- მხიარული სტარტები;
- ძიუდოსა და მძლეოსნობის საჩვენებელი გაკვეთილები;
- მაგიდის ჩოგბურთი მოყვარულთათვის

13 საათიდან კი სტუმრების საზეიმო განწყობაზე ადგილობრივი ქორეოგრაფიული და ვოკალური ანსამბლები იზრუნებენ.

12 საათიდან გელოდებით მერაბ კოსტავას სახელობის ბაღში.

„იავნანამ რა ჰქმნა?!" თოჯინების თეატრის სცენაზე

ბორჯომის თოჯინების სახელმწიფო თეატრში იაკობ გოგებაშვილის გენიალური ნაწარმოების „იავნანამ რა ჰქმნა?!"-ს თოჯინური სპექტაკლის პრემიერა გაიმართა.

იაკობ გოგებაშვილის ერთ-ერთი ყველაზე ჰუმანური მოთხრობა „იავნანამ რა ჰქმნა" სოფელ ვაშლოვანში მცხოვრები თავადის, ზურაბ ქართველაძის ერთადერთი ქალიშვილის, პატარა ქეთოს ტრაგიკულ ისტორიას ეხება, რომელიც ლეკიანობის ჟამს, ოჯახში მოყვრულად შეპარული ორი ლეკის მსხვერპლი ხდება. ლეკები პატარა ქეთოს მალულად იტაცებენ და მას დაღესტანში ოქროს სანაცვლოდ უშვილო წყვილს გადასცემენ. პატარა ქეთოს ისტორია დედ-მამისაგან შორს, დაღესტანში გრძელდება. ქართულ-ეროვნულ-ტრადიციულ მოტივებზე ამღერებული და აცეკვებული თოჯინების დანახვისას, პატარებთან ერთად, მშობლებიც თვალცრემლიანნი და ოვაციებით აღტაცებულნი უკრავდნენ ტაშს.

-დედა, რატომ მოიტაცეს ქეთო? -ხომ დაუბრუნებენ საკუთარ მშობლებს? -დარბაზში პატარების აკანკალებული ხმები ისმოდა.

ულამაზესი სასცენო დეკორაცია, გემოვნებიანი, ქართული ტრადიციული მუსიკა თუ საგალობლები საოცრად დადებით გარემოს ქმნიდა დარბაზში. 50 წუთის მანძილზე, სპექტაკლის თითოეულმა პერსონაჟმა ნამდვილად შეძლო და მონუსხა ყველა ასაკის მაყურებელი.

როგორც ყველა ამბავს, ქეთოს ამბავსაც სიკეთით სავსე დასასრული აქვს. მრავალი წლის შემდეგ მშობლიურ სახლში დაბრუნებულ ქეთოს, მხოლოდ დედის ნამღერი „იავნანა" ახსენებს სამშობლოს.

სპექტაკლის სცენოგრაფია და მუსიკალური გაფორმება, რეჟისორს, ბატონ **ნიკოლოზ საბაშვილს** ეკუთვნის. ტექნიკური რეჟისორი კი ქალბატონი **მაია ხუციშვილი** გახლავთ. ბორჯომის თოჯინების თეატრის სცენაზე დადგმული „იავნანამ რა ჰქმნა" ყველა ქართველმა უნდა ნახოს და არა მხოლოდ პატარებმა, არამედ მოზრდილებმაც, ვინაიდან აღნიშნულ ნაწარმოებში დასმული საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეპიზოდი და ურთიერთობა მეზობელ ხალხთან, რომელსაც ხშირად ჩვენი ქართველების გატაცება ახლდა თან, საჭიროა, რომ დავიწყებას არ მიეცეს. ამიტომაც, მისასალმებელია, როდესაც რეჟისორი და შემოქმედებითი ჯგუფი მთლიანდ ორიენტირებულნი არიან ეროვნული ფასეულობების შენარჩუნებაზე. უდიდესი მადლობა და წარმატება თეატრალურ დასს, მართლაც შესანიშნავი სპექტაკლისათვის.

ნატო ველიქიძე

სპექტაკლი „დაცემული ანგელოზი"

- დიოგენე ისევ ჰყიდი აზრებს?
- რა ღირს ერთი თქვენი აზრი?

სპექტაკლში - „დაცემული ანგელოზი", აზრების ჯიხურის მფლობელმა დიოგენემ მთელი კაცობრიობის სათქმელი თქვა დასასრულით.

ამ ინფორმაციაში მე არ მოგიყვებით სპექტაკლზე, ეს აუცილებლად უნდა ნახოთ. სცენიდან თქვენს გულებამდე მოაღწევს სიბრძნის თითოეული ბგერა, მელოდია და ისევ დაგაფიქრებთ, ძირს დაცემულ ანგელოზს რატომ არ სურს ჩვენთან ყოფნა?

ნახეთ, იქნებ თქვენშიც შეირხეს სხვისი ტკივილი!

საკუთარ თავს ან გარშემომყოფებს ამოიცნობთ შესრულებულ როლებში!

- ზუსტად იმდენი ვილაპარაკე, რამდენსაც ითხოვს კაცის ზრდილობაო, - დიოგენეს ხმა და სიტყვები წაღვერის კულტურისა და ხელოვნების სახლის დარბაზში (დირექტორი **დალი ქასაშვილი**) გულს ცრიდა, გონებას კი უამრავ საფიქრალს უტოვებდა.

ხელოვნებამ, თუ სულის სიღრმემდე მიაღწია და უმძაფრესი ემოცია დაგიტოვა, ე. ი. რეჟისორს ყველა ნიუანსით უზრუნია სათქმელზე.

გიორგი ლომიძე აღნიშნული სპექტაკლით „ვოდევილის" დასთან ერთად, 24 მაისს, თელავის თეატრალურ ფესტივალზეც წარსდგება.

წარმატებები ვუსურვოთ თეატრ-სტუდია „ვოდევილს".

სპექტაკლი წარმოდგენილია ვახტანგ ადიაშვილის პიესის მიხედვით, **დამდგმელი რეჟისორი და ინსცენირების ავტორი გიორგი ლომიძე, სცენოგრაფი პეტრე ღიასამიძე, ხოლო მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის ნენე ქაჯაიას.**

სპექტაკლში მონაწილეობდნენ: **ნიკუშა პეტროსიანი, ნენე ქაჯაია, მათე გელაშვილი, მარიამ შონია, ზურა ნოზაძე, ნინი, ლიკუნა, ანდრია ხაჩიძეები, ლიზა ბანცაძე, ანა კოშაძე, ანა ხაინდრავა.**

დარბაზში ქალბატონი დალი ქასაშვილის გვერდით აღმოვჩნდი. მქონდა ბედნიერება უფრო ახლოს მეგრძნო,მისი ემოციები, სცენას რომ ჩვეული ინტერესით უყურებდა და წამით თვალს არ აცილებდა.

ამ სცენიდან მაყურებლამდე ყოველთვის აღწევს მძაფრი ემოცია.

იზა იანვარაშვილი

ბაკურიანის საჯარო სკოლის 1972 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან თანაკლასელის
მანია (ანგელინა) თედიაშვილის
გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ჭადრაკი

ბარბარე თბილისის ჩემპიონი მესამედ გახდა!

ბათუმში ჩატარებულ ჭადრაკში საქართველოს ჩემპიონატის ფინალური შეჯიბრებიდან ერთ კვირაში, 19-25 მაისს, მოსწავლე-მოჭადრაკეთა ერთი ნაწილი თბილისის ღია პირველობაში ჩაერთო. მათ შორის იყო ბორჯომელი **ბარბარე შონია.**

ბარბარეს ახალი წარმატების შესახებ გვწერს მისი მწვრთნელი **უშანგი ჯანგირაშვილი**, თითქოს ბათუმის მარათონული შეჯიბრება არც ყოფილიყო, ბარბარე სულ სხვანაირი ძალისხმევით ჩაერთო თანატოლებთან ბრძოლაში. არცერთ პარტიაში უარესი პოზიცია არ მიუღია, 7 პარტიიდან ექვსი პარტია მოიგო, მხოლოდ ერთი პარტია დაამთავრა ყაიმით და დედაქალაქის ჩემპიონობა უკვე მესამედ გაინაღდა! მას გადაეცა გამარჯვებულის თასი, ოქროს მედალი და სიგელი. ეს უკვე ბარბარეს მოპოვებული 29-ე თასია!

წინ ახალი ბრძოლებია, მარათონი გრძელდება!

.ბორჯომელი ბარბარე შონია, ჭადრაკში, 13 წლამდე გოგონათა შორის, თბილისის ჩემპიონი გახდა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტი ულოცავს ბარბარეს მიღწეულ წარმატებას!

დამოუკიდებლობის დღე აქტივობებით აღინიშნა

ბორჯომის №1 ბაგა ქალაქის ცენტრში, ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარეობს, სადაც ორი ჯგუფი ფუნქციონირებს: 2-3 წლიანთა ჯგუფი - „ჭიამაია" და 4-5 წლიანთა ჯგუფი - „ვარსკვლავები". პატარებთან ყოველდღიურად 4 აღმზრდელ-პედაგოგი მუშაობს.

ბაგაში ყოველკვირეულად უამრავი თემატური აქტივობა ხორციელდება. 4-5 წლიანთა ჯგუფ „ვარსკვლავებში" საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, თემაზე: „საქართველო წიგნიერების სივრცეში", აღმზრდელებმა პატარებს ილუსტრაციების დახმარებით ქართველი მეფეები გააცნეს, რამაც მათი დიდი ინტერესი გამოიწვია. აღსაზრდელებმა ხელოვნების სივრცეში დაამზადეს გვირგვინები, მოირგეს სხვადასხვა როლები, შეისწავლეს და გამოიკვლიეს მასალები, რომელთა საშუალებითაც შეიქმნა საქართველოს დროშა, მოუსმინეს საქართველოს ჰიმნს. საკუთარი თითის ანაბეჭდებით საქართველოს დროშის კონტური შექმნეს. ბავშვებმა ყველა გამოწვევას შესანიშნავად გაართვეს თავი. აქტივობების მიმდინარეობისას სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღეს.

ბაგაში სიახლეა, სექტემბრიდან ბორჯომის №1 ბაგა მხოლოდ 2-3 წლიანთა ჯგუფს მიიღებს.

ბედნიერი მომავალი, ბავშვებო!

ბოლო ზარი მარტო ზეიმი არ არის, ის ცოტა სევდიანია, იმიტომ რომ განშორებასთან ასოცირდება - ბაკურიანის საჯარო სკოლის 83-ე გამოშვებამაც გაიხურა სკოლის კარები. ტრადიციულად, როგორც ყველა მეთორმეტეკლასელი მაისის დღეებში, ისინი ხალისიანები, ლამაზები, ნორჩები, ამაყები არიან, თითქოს ხვდებიან, რომ სულ სხვა ცხოვრებაში უნდა შეაბიჯონ ფეხი, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ ხვდებიან, რომ ბავშვობას ემშვიდობებიან, ყველაზე უზრუნველ და უღრუბლო დროს. მათ ახლა ყველა უყვართ, ყველას პატიობენ წყენას, ბრწყინავენ და ყველას ყურადღებას იქცევენ. მეცადინეობენ, დადიან რეპეტიტორებთან, მომავალ ეროვნულ გამოცდებს და პროფესიებს განიხილავენ, მაგრამ მაისის ამ დღეებში მათთვის მთავარი მაინც ბოლო ზარი-ბანკეტი, ერთად შეკრება და ექსკურსიებია. გოგონები, ისედაც ლამაზები და ნორჩები, ჩაცმულობასა და თმის ვარცხნილობას განიხილავენ, ბიჭები ოხუნჯობენ, თავს იწონებენ. უკვე დიდი ხანია, რაც ბოლო ზარის ზეიმი ყველასათვის საინტერესო ღონისძიებაა, ამიტომ გადაიჭედა დარბაზი, ყველას სურს მეთორმეტეკლასელების ხილვა, უმცროსკლასელები თვალებში შესცინიებენ, უფროსებს ნოსტალგია მოსძალებიათ, მშობლები და ახლობლები სიამაყით და თვალცრემლიანნი შესცქერიან მათ. ტრადიციული მისალმებისა და სახუმარო სკეტჩების ფონზე ჩემთვის განსაკუთრებით ყურადსაღები იყო ერთი ფაქტი - ბაკურიანისათვის სახასიათოდ ახლანდელი გამოშვებაც მრავალფეროვანია. და-ძმასავით გვერდიგვერდ გამოიარეს თორმეტი წელი ქართველმა, ბერძენმა, ოსმა და სომეხმა ბავშვებმა.

მათ საოცარი სითბოთი და გემოვნებიანი იუმორით სცენაზე გაითამაშეს მინი დადგმები ამ ერებისათვის დამახასიათებელი თავისებურებებით. იცეკვეს ცეკვა „ქართული","სირტაკი", „სიმდი","ქოჩარი"... ბავშვური სილაღითა და გულწრფელობით, თავისდაუნებურად დაუგეგმავად დაგვანახეს უფროსებს, რომ მეგობრობა არაფერ შუაშია ეროვნებასთან, რომ ბავშვის თვალით დანახული სამყარო უფრო ლამაზი და კეთილია.

ბავშვებო, იყავით მუდამ ასეთი ლაღები, ლამაზები, გამარჯვებულები. აგისრულდეთ ყველა ნათელი ოცნება, ასახელეთ თქვენი მშობლები და მშობლიური მხარე. იხარეთ და იდღეგრძელეთ ახალგაზრდებო!

რუსუდან სხირტლაძე

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.
იბეჭდება: თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
saari.ltd@gmail.com borjomipress9@gmail.com
კორექტორი: ნანა კევლიშვილი
რედაქტორი: ვალერიან ლომიძე